საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა

და აუდიტორთა ფედერაციის (ბაფ) სამდივნოს.

ბაფის წევრის,მცხოვრები ქ.ქუთაისში ნინოშვილის ქ. N200-ში

რუსუდან ჟორჟოლიანი-ნიქაბაძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგმართავთ განცხადებით გამგეობის თავმჯდომარის კანდიდატურაზე რეგისტრაციის მიზნით და ამასთან ერთად წარმოგიდგენთ სამოტივაციო წერილს.

განმცხადებელი რუსუდან ჟორჟოლიანი-ნიქაბაძე

8 დეკემბერი 2022 წელი

რუსუდან ჟორჟოლიანი – ნიქაბაძის

სამოტივაციო წერილი

ძვირფასო კოლეგებო, პატივცემულო ბაფის წევრებო, თქვენი არჩევანით თითქმის ხუთი წელი ვასრულებდი ბაფის გამგეობის თავჯდომარის ფუნქციას, რამაც მთელი სიგრძე - სიგანით გამათავისებინა ის პასუხისმგებლობა, რასაც ჩვენი დიდი პროფესიული ოჯახის ხელმძღვანელობა მოითხოვს.

პროფესია რომელსაც ჩვენ ვემსახურებით ეთიკის მოთხოვნებსა და ნდობაზე დაფუძნებული პროფესიაა და დამერწმუნეთ, რომ მისი ხელმძღვანელობისას კიდევ უფრო მწვავდება ეს პრინციპები.

ვინც ეს გზა გაიარა დამეთანხმება ალბათ, რომ ხელმძღვანელობა არ არის თანამდებობა ის მხოლოდ რთულად გასავლელი გზაა. დღეს კი, არსებულ რეალობაში ხელმძღვანელობდე ბაფს – კლდის წვეროზე გადებულ ბეწვის ხიდზე სიარულს ნიშნავს და ღმერთმა ნუ ქნას წონასწორობამ გიმტყუნოს.

პატივცემულო ბაფის წევრებო! მე მადლობელი ვარ, რომ თქვენი ნდობით და თანადგომით 5 წელი ვიარე ამ გზაზე.

დღეს ახალი საარჩევნო ეტაპია ჩვენს ორგანიზაციაში და გაცილებით უფრო საპასუხისმგებლო ვიდრე ოდესმე, როგორც კანდიდატებისათვის, კიდევ უფრო მეტად ამომრჩევლებისათვის, დღეს ორთავეს დიდი წინდახედულობა და გონიერება გვმართებს.

მომდევნო 2 წლიან პერიოდში ბაფი რეალურად გადადის თავის განვითარების ახალ ეტაპზე, რომელიც 2021 წლის საანგარიშო კრებაზე დავგეგმეთ და ახლადარჩეულ ხელმძღვანელობას მოუწევს ამ გეგმების ფაქტობრივად განხორციელება.

ეს რთული, მაგრამ ეტაპობრივად გასავლელი, გარდაუვალი გზაა.

საარჩევნო განცხადების წარდგენის ბოლო ვადის ამოწურვამდე გულწრფელად მჯეროდა, რომ დღევანდელი გამოწვევით დაინტერესდებოდა ბაფის გულშემატკივარი, სანდო და კომპეტენტური წევრები, რომელიც საბედნიეროდ ბაფს არაერთი ჰყავს და გამგეობის თავჯდომარეობის შესაფერისი და ღირსეული კანდიდატები წარადგენდა განცხადებას.

მე კი მქონდა მზაობა და გარკვეულ პასუხისმგებლობასაც ვგრძნობდი, შემომეტანა განაცხადი, როგორც გამგეობის წევრს და ახლად არჩეულ გამგეობის წევრებთან ერთად, ხელი შემეწყო ჩვენს პერიოდში დაწყებული ცვლილებების განხორციელებისათვის.

ამ წუთებში სხვა რეალობა დგას - ბაფის თავჯდომარეობის კანდიდატის არც ერთი განაცხადი არ შემოვიდა და ამ სიცარიელეს ბაფის არსებული წესდება ვერ პასუხობს.

მივიღე გადაწყვეტილება, შემოვიტანო განაცხადი ბაფის თავჯდომარეობის კანდიდატად და ამ წუთებში მთელი სიცხადით ვაცნობიერებ თუ რა ნაბიჯს ვდგამ....

ბაფის წევრებო!... აქ, როგორც წესი ჩემი დაპირება უნდა გაგიცხადოთ, მაგრამ არ ვაპირებ და არც გაკადრებთ ზოგადი და ორაზროვანი გამონათქვამები თავზე მოგახვიოთ.

დღეს დარწმუნებით მხოლოდ ერთი რამ ვიცი, რომ ბაფის ხელმძღვანელობის ტვირთის იმ „ ბეწვის ხიდზე“ ტარებას დიდი გამოცდა ელის და ან ყველა ერთად ან ჩავაბარებთ ამ გამოცდას ან ვერა.

ერთი კი, რაც გულწრფელად მწამს, არის ის, რომ ამ ორგანიზაციას კეთილშობილური საწყისები აქვს და ის შეიქმნა არა ვინმეს ან რაიმეს „ჯიბრის“ ან დაპირისპირებისათვის, არამედ პროფესიული პასუხისმგებლობის, კოლეგიალური თანადგომის, ეთიკური ღირებულებების უპირობო აღიარებით და მისი საძირკველი არც ისე ადვილი მოსარყევია. იმაშიც მყარად ვარ დარწმუნებული, რომ მის შემდგომ განვითარებას ასეთივე უპირობო და დიდი ძალისხმევა სჭირდება.

იმისათვის კი, რომ მისი შემდგომი განვითარება შევძლოთ, ყველამ ჩვენი წილი პასუხისმგებლობა უნდა ავიღოთ:

ბაფის წევრებმა, ამომრჩევლებმა – გაცნობიერებული და მიუკერძოებელი არჩევანი,

ხოლო კანდიდატებმა - პასუხისმგებლობა იმისა, რომ: სიღრმისეულად ვიცნობთ ბაფის ისტორიას და მისიას; ვაცნობიერებთ, თუ რა დრო და ძალისხმევაა საჭირო ამ ფუნქციების შესასრულებლად და მზად ვართ უანგაროდ გავიღოთ ის; გულწრფელობით, მიუკერძოებლობით და სხვების პატივისცემით შევძლებთ გუნდურ და კონსტრუქციულ თანამშრომლობას.

პატივცემულო ბაფის წევრებო, თუ თქვენ ამ წერილს კითხულობთ, ეს ნიშნავს, რომ მე ავიღე ეს პასუხისმგებლობები, მაგრამ მთავარი თქვენი არჩევანია:

ნდობა ან არის ან არა! სათუოდ მიღებული გადაწყვეტილება არაფერს წაადგება.

დიდი პატივისცემით,

რუსუდან ჟორჟოლიანი.